საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

1348

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

შაბათი, 7 მარტი, 1942 წ. — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო — № 10 (221). ფასი 30 კაპ.

F76 N460

მწერალთა სააგიტაციო მუშაობის გაძლიერებისათვის

დიდმა სამამულო ომმა, ვერაგულად მოჭრილ ფაშისტ ურდოების წინა- მდეგ პირველ დღეებიდანვე მოით- ვა ჩვენი კულტურული ძალების, თა შორის, მეცნიერთა და მწერალთა ართო აქტიური მონაწილეობა საავი- აციო - საპროპაგანდო მუშაობაში. ვენი მწერლების მნიშვნელოვანმა წილმა იკისრა ეს მეტად საჭირო ა საპატიო მოვალეობა. ომის პირ- ლ დღიდანვე შესდგა ბრიგადები, ომლებიც მართავდნენ ანტიფაშისტურ იტერატურულ საღამოებს როგორც ბილისის საწარმოებსა, დაწესებულე- ბსა და სამხედრო ნაწილებში, ისე აქართველოს მთავარ ქალაქებსა და რაიონო ცენტრებში. ეს საღამოები საფერ ეფექტს იძლეოდნენ. მათ ინ- ერესით და ყურადღებით ხვდებოდა უშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნე- ა აუდიტორია. მწერლების გამოსვ- ას მათში შეჰქონდა მხნეობა და ვენი დიდი საქმის გამარჯვების უცვ რწმენა. საქართველოს მწე- ალთა კოლექტივი ამჟამადაც განა- რძობს ამ საჭირო და ფრიად სასარ- ბლო საქმიანობას. მაგრამ ის, რაც ენის განმავლობაში გაკეთდა და კეთდებოდა, არც თავისი მასშტაბით არც თავისი ხარისხით მთლიანად სავსებით დამაკმაყოფილებელი არ რის.

ჩვენს მწერლობას ამ მიმართულე- თ შეეძლო ბევრად უფრო ეფექტი- რი მუშაობის წარმოება, ვიდრე მას წარმოებია. ეს ხაზგასმით იყო აღ- ნიშნული საქართველოს საბჭოთა წერლების კავშირის გამგეობის იმ ენუმზე, რომელიც ამ ორი კვირის ნად შესდგა. ზოგიერთი მწერალი პლენუმზე გამოსთქვამდა სინა- ლს იმის გამო, რომ მთელი ჩვენი წერლობა არ არის მთელი თავისი საძლებლობით გამოყენებული სა- იტაციო - საპროპაგანდო მუშაობი- თვის. მწერალთა კავშირის პრეზი- უმს არა ჰქონია და არც დღესა ვს გარკვეული გეგმა, რომელიც ალისწინებდეს ყველა მისი წევ- ს შესაძლებლობას საპროპაგანდო- აგიტაციო მუშაობაში მისი ჩაბმის ლსაზრისით. ამ გარემოებას კი ის დეგი მოსდევს, რომ ზოგიერთი რალი ზომაზე მეტად არის და- ვირთული ამ ხასიათის საქმიანობით, ლო საგრძნობი ნაწილი სრულიად მოუყენებელია. ეს ხდება მაშინ, ცა პარტიის საგიტაციო პუნქტები ილად საჭიროებენ მწერლებს, რო- რც აგიტატორებსა და პროპაგან- ისტებს. თამამად შეიძლება ითქვას, მ დღემდე არ არსებობს უშუალო ნტაქტი მწერალთა კავშირსა და იტპუნქტებს შორის, რომ მწერალ- გამოსვლას ამ აგიტპუნქტებზე ჰს არა სისტემატიური და გეგმიანი, ამედ შემთხვევითი ხასიათი. მწე- ლთა ორგანიზაციას დღემდე არ ზრუნია იმისათვის, რომ დამყარე- ლიყო მჭიდრო სისტემატიური და განიული თანამშრომლობა მწერ- ბისა აგიტპუნქტებთან საპროპაგან- -საავიტაციო საქმეში. ამიერიდან საკითხი აუცილებლად უნდა მო- სრიგდეს რაც შეიძლება დაჩქარე- თ. მწერალთა მონაწილეობა აგიტ- ნქტების მუშაობაში აუცილებლად მაღლებს მწერალთა პოლიტიკური იტაციის ხარისხს და ამავე დროს ავცემს საშუალებას საავიტაციო- პროპაგანდო მუშაობაში მონაწილეობა მივაღებინოთ მწერალთა მნიშვნელოვან ნაწილს.

მეორეს მხრივ, უნდა გაჩაღდეს და გაძლიერდეს მუშაობა თვით მწერლების, როგორც აგიტატორების, კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აგიტპუნქტებზე თუ ლიტერატურულ საღამოებზე მწერალი უნდა გამოდიოდეს არა მარტო როგორც ლექსის ან მოთხრობის წამკითხველი ავტორი, არამედ, როგორც მომხსენებელი, პასუხისა და განმარტების მიმცემი ყველა იმ საკითხზე, რომელიც სამამულო ომის მიმდინარეობასთან არის დაკავშირებული და რომელიც ასე აინტერესებს და აღელვებს მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა ფართო ფენებს. მწერალმა აგიტატორმა რომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილოს, ამისათვის არა კმარა ის ინფორმაცია და ცოდნის ის მარაგი, რომელსაც გაზეთების ერთი თვალის გადავლებით ვღებულობთ. სამამულო ომისა და საერთაშორისო ვითარების საკითხებში სწორი და სრული ორიენტაციისათვის საჭიროა მწერალ-აგიტატორთა გეგმაშეწონილი სისტემატიური მზადება. ამ მიზნით საჭიროა, რომ მწერალთა კლუბში მოეწყოს მწერალ-აგიტატორთა სემინარები, სადაც უნდა იკითხებოდეს მოხსენებები სამამულო ომის მიმდინარეობისა და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე. ამ სემინარებზე ყოველმხრივ უნდა მუშავდებოდეს ყველა ის საკითხები, რომელზედაც ამომწურავი პასუხის გაცემას მოითხოვს მშრომელთა ფართო აუდიტორია. თუ სურვილი და თაოსნობა იქნება, ეს საქმე შეიძლება ადვილად მოწესრიგდეს, რადგან არავითარი ობიექტიური დაბრკოლება არ არსებობს მწერლებისათვის ამ მხრივ. ასეთ სემინარში სათანადო მომზადების მიღების მსურველი მწერალთა შორის ბევრია, კვალიფიციური ლექტორებიც გამოიძებნებიან სათანადო მოხსენებების ჩასატარებლად ასეთ სემინარში.

ბოლოს, სათანადოდ გამოყენებული არ არის საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობისათვის თვით ჩვენი სასახლე, ამ სასახლის შესანიშნავად მოწყობილი დარბაზი. აქ უფრო ხშირად უნდა ეწყობოდეს ლიტერატურული საღამოები სამამულო ომის თემებზე ფართო შინაარსიანი პროგრამით. საღამოები უნდა ეწყობოდეს არა მხოლოდ მწერალთა ვიწრო წრისათვის, არამედ მთელი ინტელიგენციისათვის და მშრომელთა ფართო ფენებისათვის. აქ უნდა ისმოდეს მგზნებარე ამაღელვებელი სიტყვა ჩვენი მწერლობისა, აქ უნდა იარაღდებოდეს მწერალი ენტუზიაზმით, აგიტატორის პათოსით და ისე გადიოდეს ხალხში სამუშაოდ. აქ უნდა იმართებოდეს თემატიური საღამოები ახალგაზრდობისათვის, აქ უნდა ეწყობოდეს შეხვედრები სამამულო ომის გმირებთან და მათი ოჯახის წევრებთან. ბევრჯერ იყო ლაპარაკი, რათა მწერალთა სასახლე, მწერალთა კლუბი გადაქცეულიყო მხატვრული აგიტაციის ერთ მთავარ ცენტრად, მაგრამ დღემდე ეს საქმე ვერ მოგვარდა.

იმ შესაძლებლობათა გამოუყენებლობას, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, არავინ არ გვაპატიებს, დაუყოვნებლივ უნდა გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები ამ ღონისძიებათა გასატარებლად, რომლებიც გააფართოვებენ მწერალთა საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას და აამაღლებენ მის ხარისხს.

ქართველი პოეტები წითელ არმიას

სახელგამმა გამოსცა წითელი არმიის ვდაოთხი წლისთავისადმი მიძღვნილი ექსების კრებული „ქართველი პო- ები წითელ არმიას“.

კრებულში მოთავსებულია გალაქ- ონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, იო მაშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ლექსანდრე აბაშელის, ი. გრიშაშვი- ის, კარლო კალაძის, რაჟდენ გვეტა- ს, ვასო გორგაძის, გიორგი ქუჩი- ილის, მარიჯანის, სოლომონ თავა- ს, ხარიტონ ვარდოშვილის, სიკო ფაშალიშვილის, იოსებ ნონეშვილისა და ვ. გუგუშვილის ლექსები.

ყოველი ლექსი გაჟღენთილია პატრიოტული გრძნობით, აგვიწერს გმირული წითელი არმიის თავგანწირულ ბრძოლას გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ, წითელი არმიის მებრძოლების განუსაზღვრელ სიყვარულს თავიანთი დედა-სამშობლოსადმი.

კრებული პატარა ზომისაა, შეიცავს 28 გვერდს და ღირს ერთ მანეთად.

ამამულო ომისადმი მიძღვნილი სურათების ალბომი

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ლოვნების საქმეთა კომიტეტი მოს- ვის მხატვართა კავშირთან ერთად უდგა სამამულო ომისადმი მიძღვ- ლი მხატვრული ალბომების გამოცე- ს.

ალბომებში მოთავსებული იქნება ნახატები, ეტიუდები, ესკიზები, მლებსაც მხატვრები შეასრულებენ ნურიდან, როგორც ფრონტზე, ისე ურგში.

ამ დიდ სამუშაოს შესრულებაში ჩაბმულნი არიან ფერწერისა და გრაფიკის მოწინავე ოსტატები. რამდენიმე მხატვარი უკვე გაემგზავრა ფრონტზე.

პირველი ალბომები, რომლებიც მოსკოვისა და ლენინგრადის გმირულ დაცვას მიეძღვნება, გამოცემული იქნება სულ მოკლე ხანში.

ილია ჭავჭავაძე და გერმანიის მილიტარიზმი

ლევან ასათიანი

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე დიდის გულისყურით ადევნებდა თვალს ევროპის პოლიტიკურ ვითარებას.

ილიას მახვილ ყურადღებას არ ეპარებოდა იმპერიალისტური ქვეყნების ინტერესთა რთული ჭიდილი. იგი ცდილობდა ქართველი მკითხველებისათვის გასაგები გაეხადა „ევროპის დიდი და პატარა ონავრების“ საგარეო პოლიტიკის ფარული აზრი და მნიშვნელობა.

თავის ორგანოში „ივერიაში“ ილია სისტემატიურად ათავსებდა საგარეო მიმოხილვებს, სადაც, სხვათა შორის, დიდ ადგილს უთმობდა გერმანიის უაღრესად გაძლიერებულ მილიტარისტულ ტენდენციებსაც.

ილია სავსებით სწორად და სამართლიანად ამხელდა ჩვენი დროის კაციჭამია ბარბაროსების — ჰიტლერულ - ფაშისტურ იმპერიალისტების წინაპართა აგრესიულ პოლიტიკას და ამ პოლიტიკის დამღუპველ გავლენას ევროპის ქვეყნების ეკონომიური და კულტურული ცხოვრების საერთო განვითარებაზე. „გაუჭირდა ევროპის ხალხსა ცხოვრება, — სწერდა ილია 1889 წელს, — უკეთესი ნაწილი ერისა და მოზრდილი ლუკმა ერის ქონებისა იღუპება დღე-ყოველ და ამ ნაწილს ერისას და ერის დიდძალს ქონებას ჰყლაპავს იგი გაუმაძღარი ვეშაპი, რომელსაც შეთოფ-იარაღებულს მშვიდობიანობას ეძახიან. ამ გზით მშვიდობიანობის დაცვა ერთი დიდი უბედურებაა ევროპისა და ეს უბედურება მოუვლინა ამ ბრწყინვალედ განათლებულ ქვეყანას თ. ბისმარკმა და მისმა მეტისმეტად გაკადნიერებულმა და მოურიდებელმა პოლიტიკამ“. „მილიტარობა ევროპაში“, ტ. 10, გვ. 59).

მეორე ადგილას ილია უფრო გარკვევით აღნიშნავდა გერმანიის მილიტარიზმის დამღუპველ გავლენას ევროპის ცხოვრებაზე. „მთელი გერმანია ერთს უშველებელ კაზარმადა აქვს (ბისმარკს) გადაქცეული, — სწერს ილია, — ბევრი კაცია დღეს ევროპაში, რომ მაგ (ბისმარკის) პოლიტიკას ებრძვის... თითონ გერმანიაშიაც უკეთესნი გერმანიელნი ამ მილიტარობის ბოლოს მოღებას დაუცხრომლად ჰცდილობენ. მართლადაც, ევროპა გაალარიბა, გაალატაკა ამ გვარმა მდგომარეობამ. რასაც ევროპა ჰშრომობს, რაც მოჰყავს და რასაც აკეთებს, თითქმის სულ ეს მილიტარობა სვავივითა ჰყლაპავს... გერმანიის უპირატესობამ ევროპაში ასეთი ბედი შეაწია ევროპასა, ბისმარკის „რკინისა და სისხლის“ პოლიტიკამ ასეთი ამბავი ჩამოაგდო ქვეყნიერებაზედ“ (ტ. 10, გვ. 143).

ილია მუდამ ხაზს უსვამდა გერმანიის საგარეო პოლიტიკის ყაჩაღურ ხასიათს, განსაკუთრებით იმ მუხანათურ როლს, რომელსაც ასრულებდა გერმანული პოლიტიკის მესვეური რაიხს - კანცლერი ბისმარკი: „ასეთი ქსელია დღეს გაბმული ევროპაში ბისმარკის ოსტატობითო“, სწერდა ილია 1882 წელს ერთ მიმოხილვაში.

ილიასთვის სავსებით გარკვეული იყო ის გარემოება, რომ გერმანიის გაძლიერებული შეიარაღება, მისი ცბიერი დიპლომატიის მიერ ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში გაბმული პოლიტიკური ხლართები კარგს არას უქადდა კაცობრიობას. ეს პოლიტიკა მოასწავებდა მსოფლიო ომის მოახლოვებას, იმ საშინელი ხანძრის დანთებას, რომელიც ორი ათეული წლის შემდეგ მართლაც გააჩაღა გერმანიამ 1914-1918 წლების იმპერიალისტური ომის სახით. „სხვა რომ არა იყოს რა, — სწერდა ილია სტატიაში „ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ“, — ეს ხომ ვიცით, რომ გერმანია უომრად ვერ გადარჩება, ამაში ეჭვი არავის უნდა ჰქონდეს. საქმე იმისათანა დროისა და გარემოების ხელში ჩაგდებაა, რომ გერმანიისათვის გამარჯვება უეჭველი იყოს ცოტად თუ ბევრად. ამ დროისა და გარემოების მოლოდინშია დღეს გერმანია და იმის ცდაში, რომ ეს დრო და გარემოება მოიმზადოს (ტ. 10, გვ. 65).

ილიას ძალიან აინტერესებდა ბისმარკის გერმანიის პოლიტიკური მაქინაციები აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ ხანებში გერმანია ენერგიულად ცდილობდა თავისი გავლენის სფეროში მოექცია სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის (ბალკანეთის) ქვეყნები და განსაკუთრებით ოსმალეთი. ბისმარკი ორმაგ პოლიტიკას აწარმოებდა: ავსტრიის საშუალებით ოსმალეთს ზედიზედ ართმევდა სამფლობელოებს და ამით ასუსტებდა მის სახელმწიფოებრივ ძლიერებას, მეორეს მხრივ, სხვადასხვა შეპირებით თავის მხარეზე იბირებდა ოსმალეთის მთავრობას და ამხედრებდა მას რუსეთის წინააღმდეგ. „ეხლანდელი პოლიტიკის მავთულები ხელთ უპყრია ამ რკინის კაცსა, — სწერდა ილია გერმანიის რაიხსკანცლერზე. — ბისმარკი სწორედ რაღაცას ცუღლუტობს, რაღაცას ამზადებს და რაღასთვისაც ემზადება... ბისმარკის წაქეზებით და მიდგომით ავსტრიამ თითქმის ხელთ იგდო სერბია... ბოსნია და ჰერცოგოვინა დაიჭირა ავსტრიამ ისევ ბისმარკის წყალობითა... ეს ერთი ძლიერი თარეშია ბისმარკისა, აღმოსავლეთის საქმის მოედანზედ გაშვებული. მეორეს მხრით, ბისმარკმა ოსმალოს მეტად ტკბილი ლაპარაკი გაუმართა და როგორც ჭორად ამბობენ გაზეთები, — ჩუმად დაჰპირდა კიდეც თურმე, რომ რუსეთისაგან ახლად წართმეულ ქვეყნებს ისევ უკან დაგიბრუნებო, ოღონდ ჩემს ნებაზედ იარეო. რაც დიდი და გამოსარჩენი ადგილებია ოსმალოს მთავრობაში, სულ იმისათანა კაცებმა დაიჭირეს, ვინც ბისმარკის პოლიტიკის მომხრენი არიან“ („საპოლიტიკო მიმოხილვა“, 1882 წ., ტ. 10, გვ. 96).

ილიას ყურადღებას იქცევს გერმანიისა და რუსეთის ურთიერთობა, თანდათანი გამძაფრება ამ ურთიერთობისა და მოსალოდნელი გადაჯგუფება ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის. გერმანიის დამოკიდებულების ნათელსაყოფად რუსეთისა და საერთოდ სლავთა ხალხებისადმი, ილიას მოჰყავს ცნობილი გენერლის სკობელევის სიტყვა, რომელმაც იმ დროს დიპლომატიური ინციდენტის ხასიათიც კი მიიღო. „ეს ომის ატეხის ხმა, — სწერს ილია, — უფრო გაძლიერდა და გახშირდა მას შემდეგ, რაც განთქმულმა რუსის გენერალმა სკობელევმა პარიზში სიტყვა წარმოსთქვა სერბიელ სტუდენტების წინაშე. სკობელევმა პირდაპირ უთხრა სტუდენტებს, რომ რუსეთმა სლავიანების კარგად განწყობისათვის ხელი, როგორც რიგია, ვერ გამოიღოო. ამის მიზეზი თითონ რუსეთი არ არისო. ჩვენ, რუსებს, ერთი დიდი გაიძვერა და მანქანა მტერი გვყავს. მაგ მტერმა ისე გაგვაბა თავის მახეში, ისე ხელთ იგდო ბედი მთელის რუსეთისა, შინა თუ გარეთა, რომ ყურმოჭრილ ყმებსავით ხან აქეთ გვაბრუნებს, ხან იქითაო, — ის მტერი ნემეციაო. დღეს იქნება თუ ხვალე, რუსეთი დაეჯახება მაგ მტერსაო, ასტყდება ძლიერი ბრძოლა და სისხლის ღვრა, და იმედი მაქვს, გამარჯვებული ჩვენ ვიქნებითო. „გახსოვდეთო, — უთხრა თურმე ბოლოს სკობელევმა, ჩვენი, სლავიანების მტერი ნემეციაო. მშვიდობითო იმ დრომდის, ვიდრე მე და თქვენ სიომარს ველზედ ერთმანეთს შევხვდებით და ერთმანეთს ძმურად მხარში ამოვუდგებითო“. („პოლიტ. მიმოხილვა“, 1882 წ., ტ. 10, გვ. 102).

დღეს, სამოცი წლის შემდეგ, ახალ საერთაშორისო ვითარებაში, ამ სიტყვებს ახალი და ღრმა მნიშვნელობა ეძლევათ. საბჭოთა კავშირის ხალხები, დიდ რუს ხალხთან ერთად, აწარმოებენ რა დიდ სამამულო ომს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, მთავარ ამოცანად ისახავენ არა მარტო დროებითი ოკუპირებული საბჭოთა ტერიტორიების განთავისუფლებას ფაშისტური ურდოებისაგან, არამედ გერმანელ ბარბაროსთა ქუსლქვეშ მგმინავი ევროპის ხალხების და მათ შორის სერბიელი ხალხის განთავისუფლებასაც მონობის უღლისაგან.

ძალიან საგულისხმოა ილიას პროგნოზი ძალთა იმ დაჯგუფების შესახებ, რომელიც ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა გერმანული მილიტარიზმის მეტის-მეტ გაძლიერებას. „მსუნაგი თვალი ბისმარკისა, — სწერს ილია, — რუსეთისაკენაც იყურება... ძლიერება რუსეთისა ბევრს უშლის ბისმარკსა“ (ტ. 10, გვ. 145).

ილია სავსებით სწორ მოსაზრებას გამოსთქვამს რუსეთისა და საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური დაახლოვების შესაძლებლობის შესახებ გერმანიის მილიტარისტული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ: „რუსეთისა და საფრანგეთის შორის ზავის ჩამოგდება გერმანიის წინააღმდეგ, თუ გერმანია რუსეთზედ გამოილაშქრებს, ხომ ყველაზედ უფრო შესაძლებელია და ჭკუაში მოსასვლელი“ (ტ. 10, გვ. 107). ილია უფრო შორსაც მიდის და მიუთითებს ევროპის ორ ბანაკად დაყოფილ სახელმწიფოთა შემადგენლობაზედაც: „თუ უეცარი მიზეზი რამ არ ჩამოერია ევროპის საპოლიტიკო საქმეში, ევროპა ორ დიდ ბანაკად შესაძლოა გაიყოს, — ერთის მხრით გერმანია, ავსტრო-ვენგრია და ოსმალო, მეორეს მხრით — რუსეთი, საფრანგეთი და იტალია“. აღსანიშნავია, რომ ეს პროგნოზიც იტალიის შესახებ სავსებით გაამართლა 1914-1918 წლების მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა, როდესაც ევროპის სახელმწიფოები ძირითადად სწორედ ზემოაღნიშნული დაჯგუფებით გამოვიდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ.

ილია ჭავჭავაძე თავის მიმოხილვებში დიდ ადგილს უთმობდა გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობასაც. ილია სავსებით თანაუგრძნობდა 1870 წლის ომში დამარცხებულ საფრანგეთს და განსაკუთრებით ფრანგებით დასახლებულ ელზას-ლოტარინგიას, რომელიც ანექსირებულ იქნა გამარჯვებული გერმანიის მიერ. „ბისმარკის ოსტატურმა პოლიტიკამ და მოლტკეს გაწყობილმა ჯარმა უკან მიაყენა ეს ქვეყანაო, — სწერს ილია საფრანგეთის შესახებ, — რომელიც 1870 წლამდე სათავეში ედგა ყველაფერს ევროპაში და რომლის სიტყვასაც ყველა მოწიწებით და რიდით ისმენდა. მას აქეთ მარტო ერთმა გერმანიამ დაიჩარჩუნა ბურთი და მოედანი ევროპისა. მას აქეთია საფრანგეთი დიდის გულის ტკივილით გაიყურება რეინისაკენ და გერმანიის წართმეულს ელზას-ლოტარინგიას გასტირის. ჯერ ეს ზარალი ნივთიერი და მერე თავმოწონებული სითამამე საფრანგეთის ერისა, შეგინებული, დამარცხებული და დამცირებული ქვეყნის წინაშე სიამაყე ამაყის საფრანგეთისა, — ორივ ერთად წყლულსავით ჩაჰსდგომია გულში საფრანგეთს და მოსვენებას არ აძლევს. არ არის ერთი კაცი საფრანგეთში, რომ არ ნატრულობდეს ხელ-ახლად გამკლავებას, ხელ-ახლად შეჭიდებას“ („ევროპა 1886 წელს“, ტ. 10, გვ, 112).

ილია სხვა წერილში კვლავ უბრუნდება გერმანიის ქუსლით გათელილი ოკუპირებული ელზას-ლოტარინგიის საკითხს. ის თანაუგრძნობს პატრიოტულ სულისკვეთებას, რომლითაც გამსჭვალულნი არიან ელზას-ლოტარინგიელები, ის ყოვლად დაუშვებელ და უმართებულო აქტად სთვლის მოძალადეების მიერ ელზას-ლოტარინგიის ჩამოცილებას დედა-სამშობლოს სხეულისაგან. „საფრანგეთი დღეს-აქამომდე გასტირის მშვენიერს ელზას-ლოტარინგიას, რომელიც წაართვა მას გამარჯვებულმა მტერმა,—სწერს ილია. — თითონ ელზას-ლოტარინგიაც შემოჰბღავის და შემოსტირის თავის აღრინდელს. მამულს—საფრანგეთსა, რომელსაც იგი ძალმომრეობით მოაშორეს და რომლისთვისაც ელზას-ლოტარინგიას ბევრი ჭირი და ლხინი გაუზიარებია და თავისი უკეთესნი შვილნი შეუწირავს საფრანგეთის დიდებულ დღეებისათვის. არა ერთი და ორი ბრწყინვალე ფურცელია საფრანგეთის ისტორიისა შემკული და შარავანდედით მოსილი ელზას-ლოტარინგიის შვილთა სახელითა, ღვაწლითა და თავგანწირულებითა. ამიტომაც მას აქეთ, რაც საფრანგეთი დამარცხდა პრუსიისაგან, არ არის ერთი ფრანსიელიც, რომ სამაგიეროს გადახდას, ჯავრის ამოყრას არა ჰფიქრობდეს“. („ომის წინ“, 1886 წ. ტ. 10, გვ. 257).

ილიას სავსებით ბუნებრივად და მართებულად მიაჩნია რევანშის იდეა, აღმოცენებული ფრანგებს შორის და მიმართული გერმანიის პოლიტიკურ მესვეურთა წინააღმდეგ. ილია ამ შემთხვევაში გამოდის სამართლიანი ომის მომხრედ, რომელმაც უნდა აღადგინოს ფეხქვეშ გათელილი უფლებანი მოძალადეების მიერ დაჩაგრული ხალხებისა. ილია ხშირად უბრუნდება გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობას და, თავისი დაჩაგრული ქვეყნის შვილთა საგულისხმოდ, ხაზგასმით აღნიშნავს მგზნებარე პატრიოტული გრძნობების გაღვივებას დამარცხებულ ფრანგებს შორის. „საფრანგეთის პოეტი დერულედი,—სწერს ილია, — გამოჩენილი მამულის მოყვარე შვილი, იწვევს საფრანგეთს, ხმალი ქარქაშიდამ ამოიღოს და თავისი დამარცხებული სახელი კვლავ ძლევით შემოსოს. „მართალიაო, — ამბობს იგი,—გერმანია და საფრანგეთი ერთმანეთს უნდა დაუახლოვდნენო, მაგრამ ხიდი-კი დაახლოვებისათვის თოფ-იარაღით უნდა გაიდოსო. მთელი თხუთმეტი წელიწადი ისე ვართ, თითქო გერმანიის ვასალები ვიყვნეთო. დამარცხებულის საფრანგეთის და გამარჯვებულის პრუსიის შორის დღეს რა მოქმედობსო? ერთის მხრით, დღე-უღამო მუქარაა, მეორეს მხრით, განუწყვეტელი თმობაა და უღონობის სირცხვილის ჭამაა. სულელობაა კაცმა თავის ერს, თავის ქვეყანას დაუმალოს ბალანსი გაუპატიურებისა, რიცხვი მუხლთა დრეკისა! ომს სამაგიეროს გადახდისას რომ მარტო პატიოსნება და ინტერესები ითხოვდეს, მაშინაც არ უნდა მოვერიდნეთ. ხოლო მაგისთანა ომი ხომ სიმართლის ომიც არის. როგორ დავსთმოთ და როგორ დავტოვოთ მტრის ხელში მილიონ-ნახევარი ჩვენი თანამემამულენი, რომელნიც გამოგვგლიჯეს ჩვენ უსამართლობის გულქვაობითაო!“ ამას მარტო დერულედი არ ამბობს: ამას ჰფიქრობს და გულში ატარებს მთელი დღევანდელი საფრანგეთი“ („ომის წინ“, 1886 წ. ტ. 10, გვ. 258).

ილიას მთელი სიმპატიები გერმანელი მილიტარისტების მიერ ოკუპირებული ელზას-ლოტარინგიელების მხარეზე იყო, ის აშკარად თანაუგრძნობდა ფრანგების პატრიოტულ აღტყინებას, რადგან სავსებით სამართლიანად და ბუნებრივად მიაჩნდა მათი აღშფოთება მოძალადეთა წინააღმდეგ.

ილია, როგორც ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგი და მებაირაღტრე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ევროპის ჩაგრული მცირე ერების ვითარებასაც. თავის საერთაშორისო მიმოხილვებში იგი დიდ ადგილს უთმობდა ირლანდიელების, კრიტელი ბერძნების, ოსმალეთის, სომხების და სხვა პოლიტიკურად დამონებული ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებს. ერთ წერილში ილია ეხება პრუსიის მიერ დამონებულ პოლონელთა სავალალო ბედს, რომელთაც გათავხედებული მოძალადეები ერეკებოდნენ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალიდან. 1886 წელს ილია თავის „ივერიაში“ ორ მეთაურ წერილს უძღვნის გერმანიის პარლამენტის მღელვარე სხდომებს, სადაც ირჩეოდა პოლონელთა ბედი. „გერმანიის პარლამენტმა, — სწერს ილია,—დაიწყო თავისი მოქმედება. ყოველი გერმანელი გულის ფანცქალით მოელოდებოდა დასაწყისსა... მიზეზი ამისთანა მოლოდინისა და იმედებისა არის ერთი შინაური საქმე გერმანიისა, რომელიც უშიშარმა და თამამმა ბისმარკმა კისრად იდვა, აღსრულებაში მოიყვანა და ამითი შეაძრწუნა მთელი განათლებული გერმანია. ეს საქმე არის პოლიაკთა გადევნა პრუსიიდამ“.

ილია საგანგებოდ ჩერდება გერმანიის პარლამენტის დეპუტატთა კამათზე და მოჰყავს თვითეული მათგანის სიტყვის შინაარსი.

განსაკუთრებული თანაგრძნობით ილია ჩერდება ორი დეპუტატის გამოსვლაზე. პირველი მათგანი იყო პოლონელი იაჟჯევსკი, რომელიც მხურვალედ იცავდა თავისი ხალხის ეროვნულ ღირსებასა და უფლებებს, ხოლო მეორე—ვილჰელმ ლიბკნეხტი, რომელიც თავის კეთილშობილ გამოსვლაში გამოხატავდა გერმანელი ხალხის სინიდისს და მკვეთრ ანტაგონისტურ დამოკიდებულებას ბისმარკის მთავრობის კაციჭამია პოლიტიკისადმი. „ლიბკნეხტმა საოცარის მჭერ-მეტყველებით ილაპარაკა და, სხვათა შორის, სთქვა: იმა საბუთის გაქარწყლება, რომელიც ამ ბარბაროსებურის ქცევის გასამართლებლად მოჰყავთ, სულ უკანასკნელის ადვოკატისათვისაც ადვილი საქმეა... ამბობენ, პოლიაკთა განდევნა საჭიროა, რომ ჩვენი ეროვნება თავისის სიწმინდით დაცულ იქნასო. რაო? ცივილიზაციის სახელით ერთა-შორის ლობეები უნდათ გამართონ? ეგ ბარბაროსობაა. ჩვენი ეროვნებური აღმატებულება, ჩვენი განათლება, ჩვენი კულტურა ვერ შეიწყნარებს მაგ უჯერო და უსამართლო ქცევასო...“ („პოლიაკთა განდევნა პრუსიიდან“, 1886 წ., ტ. 10, გვ. 281).

ლიბკნეხტის სიტყვის შემდეგ ილია მოკლედ ჩერდება სხვა დეპუტატების გამოსვლებზედაც და წერილს ამთავრებს მეტად საგულისხმო სიტყვებით: „არამც თუ გერმანიამ, თითონ მთელმა ევროპამაც წუნი დასდო ამისთანა შინაურ პოლიტიკას „რკინის კანცლერისას“... მაგრამ ყველამ ესეც იცის, რომ ბისმარკი, ეგრეთი ძლიერი და ღრმად გამსჭვრეტელი გარეშე საქმეებისა, შინაურ საქმეებში მეტად სუსტია და ხშირადაც თითქო ბრმა არისო“...

ილია სავსებით ეთანხმებოდა ვ. ლიბკნეხტს, რომელიც პოლონელთა მიმართ ბისმარკის პოლიტიკას სთვლიდა ბრმა პოლიტიკად. ილიას აზრით, ეს პოლიტიკა, აგებული დამონებულ ხალხთა დევნა-შევიწროვებაზე, მათი უფლებების ფეხქვეშ გათელვაზე, არაფერს კეთილს არ უქადდა მოძალადეებს. და მართლაც, ეს ნათლად დაამტკიცა ევროპის მთელმა შემდგომმა განვითარებამ. სამწუხაროდ, ისტორიის გაკვეთილები უნაყოფო გამოდგა ბევრისათვის და მათ შორის ჩვენი დროის ფაშისტ-გერმანელ იმპერიალისტებისათვისაც. ბისმარკის დროიდან დაწყებულმა აგრესიულმა იმპერიალისტურმა პოლიტიკამ კისერი მოსტეხა ვილჰელმ მეორის გერმანიას 1914-1918 წლის მსოფლიო ომში. ასეთსავე ბედს უმზადებენ დღევანდელ გერმანიას მისი ფაშისტური მესვეურები ჰიტლერისა და მისი დამქაშების მეთაურობით.

ბელადის სიტყვა

ვასო გორგაძე

ეს რაა, ზვავი გუგუნებს მთებში ზათქით და ზარებით,
თუ ზღვას უბერავს გრიგალი, ტალღებს ამსხვრევენ ქარები?
წყაროს თვალივით ანკარა, კაშკაშა დღის ელვარებით,
ლალისფერ შუქით გამთბარი, ბრწყინავენ კრემლის კარები.

მაღლა ტყეებად აწვდილი შრიალებს დროშა მრავალი.
სიტყვას ამბობდა ბელადი, სახით მზე ამომავალი,
შუბლ-შემოსილი ალისფრად ელავდა ცის დასავალი
და ოქრონაყარ სხივებით იმოსებოდა ტრამალი.

ეთერს მიაპობს მკვეთრი ხმა, სიბრძნის ტალღებად ფრქვეული,
სიმართლის ცეცხლში ნაწრთობი, ფოლადად გადაქცეული,
ვაჟკაცს აანთებს გმირობით, მტრის დამარცხებას ჩვეული,
ველზე მრისხანედ დაჰჭექავს მეხივით ანაზდეული.

ლენინის ქალაქს, გმირ ქალაქს შუქი მოჰფინა ცხოველი,
ქალაქს სადაც მხნედ იბრძვიან ქუჩა და სახლი ყოველი,
გრანიტის ბურჯი მაგარი, მტრის თავზე რისხვის მთოველი,
ფხამოპირული მახვილი, კლდეკარი მიუწვდომელი.

მეომარს ბრძოლის ქარცეცხლში მზრუნველი თვალით დახედა,
მამაშვილურად შეიტკბო, ხელი დაადო მხარზედა,
უთხრა: „კლდედ იდექ, ვაჟკაცო, მტერს მეხად დაეც თავზედა,
რომ მისი ბილწი ხსენება მოისპოს ქვეყანაზედა!

თავისუფლების მოყვარულ ხალხების თქვენ ხართ მხსნელები,
თქვენ შემოგყურებთ იმედით ჩვენი მთა, ჩვენი ველები.
დაჰკარით, გაანადგურეთ შავი წყვდიადის მცველები,
ვის ბავშვთა სისხლით უტიფრად შეუღებიათ ხელები!

შთაგაგონებდეთ წინაპართ გმირობა, დაულეველი:
მინინ-პოჟარსკის, დონსკოის, კუტუზოვის და ნეველის,
მტერთან ბრძოლაში იყავით, როგორც კლდე შეურყეველი,
წინ ნათლის სვეტად გიძღოდეთ ლენინის მზე უძლეველი“.

შორით მოჰქონდა პასუხი ნიავს თოვლიან მთისასა:
„ჩვენ თუნდაც გავსწყდეთ, არ დავთმობთ მტკიცე ფიცს ვაჟკაცისასა,
ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ნადირსა შავი ტყისასა,
ვინც დახვდა, იგივ დახვდება გულდაგულ ურდოს მტრისასა.

მშობლიურ ველებს არ მივცემთ სათელად მტარვალს ვერაგსა,
დიდი ლენინის სამშობლოს, პუშკინის ჩანგის ჟღერასა.
ცოცხალის თავით არ დავთმობთ თავისუფლების კერასა,
ვიდრემდის ვსუნთქავთ მიწაზე, გული არ შეწყვეტს ძგერასა.

წინ გავსწევთ, ვერ შეგვაშინებს მძიმე განსაცდლის დღენია,
ვერც ყინვა, ვერც ქარიშხალი, გზა, თოვლით მონაფენია,
ყვავ-ყორნებს დავანიავებთ, ვიდრე სხივებათ გვფენია
ამომავალი მნათობი, შენი უკვდავი გენია!“

საბჭოთა წიგნები და სიმღერები ამერიკის შეერთებულ შტატებში

იმ დღიდან, რაც საბჭოთა ხალხი აწარმოებს სამამულო ომს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ, ამერიკული გამომცემლობები დიდს ინტერესს იჩენენ ისეთ წიგნებისადმი, სადაც მოთავსებულია საბჭოთა კავშირის ყოფა-ცხოვრებისა და მიღწევების აღწერილობა. ამ საკითხებზე, ამერიკელი ავტორების რამდენიმე წიგნის გარდა, უკვე გამოცემულია საბჭოთა მეცნიერი მუშაკების ნაშრომები. ამერიკის შეერთებული შტატების გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ აკადემიკოს ი. პავლოვის თხზულებათა მეორე ტომის გამოსვლას, როგორც დიდს კულტურულ მოვლენას. წიგნში შეტანილია პავლოვის სიტყვები, რომლებიც მას წარმოუთქვამს სხვადასხვა მეცნიერულ კონგრესებსა და კონფერენციებზე. წიგნს წამძღვარებული აქვს ამერიკის ცნობილი მეცნიერის ხერსლი გენტის წინასიტყვაობა.

ამერიკაში ძალიან მოსწონთ აგრეთვე საბჭოთა სიმღერები. საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერებს ასრულებს ცნობილი ზანგი მომღერალი პოლ რობსონი. „სიმღერას სამშობლოზე“ იგი რუსულ ენაზე მღერის. „პოლიუშკა“ შეტანილია ამერიკის მრავალი ორკესტრის რეპერტუარში. ამ რამდენიმე ხნის წინად გამოვიდა პოკრასის ცნობილი სიმღერის „თუ ხვალ ომი იქნება“-ს ნოტები.

თეატრებისა და დრამატურგების ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის

როგორც მიმდინარე თეატრალური სეზონი გვიმტკიცებს, ჩვენს თეატრებს მუშაობა სამამულო ომის შესაბამისად დღემდე ვერ გარდაუქმნიათ. ეს ჩამორჩენა აღინიშნა ამას წინათ ჩატარებულ ხელოვანთა აქტივის კრებაზე, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ხელოვნების კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ხრაპჩენკო. ჩამორჩენის ერთერთ მთავარ მიზეზს თანამედროვე რეპერტუარის უქონლობა შეადგენსო, ერთხმად აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა და, მართლაც, უკვე მეცხრე თვეა საბჭოთა ხალხი დიდს სამამულო ომს აწარმოებს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებთან და ჩვენს თეატრებს ამ სამამულო ომის შესაფერისი რეპერტუარი ჯერ კიდევ არა აქვთ, მათ არა აქვთ არც ერთი ისეთი პიესა, რომელიც ჯეროვნად ასახავდეს ჩვენი ხალხის უდიდეს გმირულ ბრძოლას საყვარელ სამშობლოს დასაცავად.

ხელოვნების აქტივის საქალაქო კრებაზე თეატრების ხელმძღვანელები ხელს იბანდნენ ამ ჩამორჩენისათვის და ყველაფერს დრამატურგებს აბრალებდნენ, პიესებს არ გვიწერენ, თორემ ჩვენ მზადა ვართ დავდგათ და შევასრულოთო.

რა თქმა უნდა, თეატრებისა, თუ დრამატურგიის ესოდენი ჩამორჩენა სამამულო ომის პერიოდში უნდა გამოსწორდეს. სწორედ ამიტომ მწერალთა კავშირის დრამსექცია შეეცადა ერთხელ კიდევ შეემოწმებინა დრამატურგთა პორტფელები, შეემოწმებინა მათი ლაბორატორია, გამოერკვია, თუ რა გაუკეთებიათ მათ დღემდე, რაზედ მუშაობს თვითეული მათგანი.

ამ საკითხს მიეძღვნა 5 მარტს მწერალთა კავშირში მოწვეული ქართველ საბჭოთა დრამატურგების თათბირი.

გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან ჩანდა, რომ თითქმის ყოველი დრამატურგი ცდილა გამოხმაურებოდა სამამულო ომს. მეტ წილს თანამედროვე თემებზე უკვე დაუწერია პიესა, ზოგ მათგანს ისტორიულ თემებზე უმუშავნია.

მაგალითად ს. შანშიაშვილს მზად აქვს პიესა ისტორიულ თემაზე, იწყებს ახალ თანამედროვე მასალაზე მეორე პიესის წერას. პ. კაკაბაძეს დაუმთავრებია ახალი პიესა და უკვე გადაუცია თეატრისათვის. ი. ვაკელი მუშაობს ახალ პიესაზე, სადაც სამამულო ომის ზურგის ამბებია აღწერილი. ს. მთვარაძეს დაუწერია ორი პიესა, ერთი მათგანი „მზაკვრობა და ვაჟკაცობა“ უშუალოდ ფრონტის ამბებს ეხება, მეორე „ძეგლი“ კი ეხება იმას, თუ როგორ ეხმარება ზურგი ფრონტს. დ. კასრაძეს ერთი პიესა აქვს დაწერილი და ახლა მუშაობს მეორე პიესაზე „როსტოველები“. შ. დადიანმა და რ. ქორქიამ ომის პირველ ხანებშივე დასწერეს პიესა „ხალხი აღსდგა“, უკვე დაიდგა ლ. გოთუას პიესა „მეფე ერეკლე“ და სხვა.

ყველა ეს ფაქტი ნათლად მოწმობს, რომ ქართველ საბჭოთა დრამატურგებს საკმაო მუშაობა ჩაუტარებიათ, მაგრამ ისმის კითხვა: რატომ აქამდე არა იცოდა რა ამის შესახებ მწერალთა საზოგადოებრიობამ. უფრო მეტიც: თვითონ დრამატურგებმაც არ იცოდნენ, ვინ რა გააკეთა და რაზე მუშაობდა თვითეული მათგანი. საკვირველია, რატომ გადავარდა მწერალთა კავშირში ომამდე არსებული ტრადიცია—ახალი პიესის მწერალთა წრეში წაკითხვის ტრადიცია, ასეთი წაკითხვა და განხილვა საგრძნობლად ეხმარებოდა ავტორს, იქმნებოდა ერთგვარი საზოგადოებრივი აზრი ამა თუ იმ ახალ ნაწარმოებზე, სუსტ ნაწარმოებს იქვე ეძლეოდა უარყოფითი შეფასება, ღირსეული ნაწარმოები კი უფრო ადვილად იკვლევდა გზას.

ეს ტრადიცია გადავარდა და დრამატურგები თითქოს კარჩაკეტილ ლაბორატორიულ მუშაობას შეუდგნენ. შეიძლება ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ დრამატურგთა პორტფელში არა ერთი ახალი თანამედროვე პიესაა, მაშინ, როცა თეატრები ასეთ პიესების ნაკლებობას განიცდიან.

მაშ რაშია საქმე? ნუ თუ ყველა პიესა გამოუსადეგი და თეატრებისათვის მიუღებელია? თუ თეატრების ხელმძღვანელთა შორის არსებობს რაღაც წინასწარ შემუშავებული აზრი, თითქო ჩვენს დრამატურგებს არ შეუძლიათ მათი „გაზრდილი მოთხოვნილების“ დაკმაყოფილება? არის მრავალი ფაქტი იმისა, რომ თეატრის ხელმძღვანელებისაგან დრამატურგი ვერ იგებს აზრს მის მიერ დაწერილ პიესაზე. გარდა ამისა, გრძელდება ჩვენს თეატრებში გამეფებული უცნაური ტრადიცია: პიესა უნდა შესწორდეს რეჟისორის გემოვნების მიხედვით. ხშირად ეს მოთხოვნა ეწინააღმდეგება ყოველგვარ მხატვრულ პრინციპს, ძირ-ფესვიანად სცვლის დრამატურგის მიერ მოფიქრებულს, ნააზრევს, კომპოზიციას, ტიპაჟს და სხვას.

რატომ არ შეიძლებოდა, რომ ერთის მხრით ჩვენი დრამსექცია, ხოლო მეორეს მხრივ, თეატრების ხელმძღვანელები უფრო მეტად დაინტერესებულიყვნენ დრამატურგების შემოქმედებით, გაესინჯათ მათი პიესები და ცალკეულ დრამატურგთან ახლო-შემოქმედებითი მუშაობით გაემრავალფეროვნებინათ თეატრების რეპერტუარი, უფრო აქტუალური გაეხადათ იგი.

ჩვენ გვგონია, ახლა მაინც საგრძნობლად უნდა შემოკლდეს წარდგენილ პიესებზე თეატრების მიერ პასუხის გაცემის ვადა. უნდა დაჩქარდეს წარდგენილი პიესის კითხვა, მისი შემოწმება, რომ ავტორმა თავის დროზე გაიგოს, რა ბედი ეწვია მის ნაწარმოებს, რათა მასაც მეტი დრო ჰქონდეს პიესაში შესწორების შეტანისა, თუ კი ამას საჭიროებს და მოითხოვს მისი ნაწარმოები.

ჩვენი თეატრების ხელმძღვანელები ახლავე უნდა შეუდგნენ ახალი პიესების შემოწმებას. დრამსექციამ უნდა განაგრძოს სასარგებლო ტრადიცია—პიესების წაკითხვა მწერალთა წრეში. მწერალთა საზოგადოებრივობა თავისი აქტიური მონაწილეობით, დაურიდებელი კრიტიკით უნდა მოეხმაროს დრამატურგს და თეატრს ახალი, აქტუალური პიესის შექმნაში.

საბჭოთა მაყურებელი ჩვენი თეატრებისაგან მოითხოვს ჩვენი სამამულო ომის გმირული ეპიზოდების ამსახველ სპექტაკლებს. მას უნდა სცენაზე დაინახოს სამამულო ომის საყვარელი გმირები, მოისმინოს ამ გმირების მართალი და დამაჯერებელი სიტყვა.

ჩ. ნ.

რემარკის ახალი რომანი

ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა ერიხ მარია რემარკის ახალი რომანი „ფლოტზამი“, რომლის მიხედვითაც დაიდგა კინოფილმი „ასე თავდება ჩვენი ღამე“. რომანში აღწერილია ერთი გერმანელი ოჯახის ცხოვრება ჰიტლერული რეჟიმის აუტანელ პირობებში. როგორც ამერიკული კრიტიკა აღნიშნავს, მკითხველს მთელი საშინელებით წარმოუდგება ჰიტლერული ჯოჯოხეთის სურათები, ანტიფაშისტ გერმანელ ემიგრანტთა ყოფა-ცხოვრების სცენები საზღვარგარეთ და სხვა.

სატირა სამამულო ომის [illegible]

პლატონ კეშელავა

ერთ საღამოს პარიზში ბევრად მეტს ოხუნჯობენ, ვიდრე მთელს გერმანიაში ერთ თვეში... რა ბარბაროსები არიან ეს გერმანელები!

სტენდალი

სატირა ჭეშმარიტად ხალხური და უაღრესად მასობრივი ჟანრია ხელოვნებისა და ლიტერატურისა. ხალხური შემოქმედების ნოყიერ ნიადაგზე აღმოცენებული, იგი განვითარების უმაღლეს საფეხურზედაც არა ჰკარგავს თავის დამახასიათებელ ხალხურ ბუნებასა და თვისებებს. სატირა, როგორც ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილი და ალესილი იარაღი, თავისი კლასიკური განვითარების მაღალ საფეხურზე უფრო ბასრი საბრძოლო ლახვრის სახით გვევლინება: საბა-სულხან ორბელიანის, ჰეინეს, გოგოლის, შჩედრინის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა მწარე ენა, გესლიანი სახეები, მოსწრებული თქმები დღესაც მუსრავენ კაცობრიობის პროგრესის მტრებს თავიანთი ელვარებით.

კლასიკური სატირის მახვილ ფორმას ჯერ კიდევ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი იყენებდნენ ხალხის მტრების უნიადაგობის გამოსამჟღავნებლად. შემდეგ სატირის გენიალურად გამოყენების ბრწყინვალე მაგალითებს ვხვდავთ ლენინისა და სტალინის შრომებსა და გამოსვლებში: საკმაოა გავიხსენოთ ერთი მაგალითი სახელდობრ, ამხანაგ სტალინის მიერ შჩედრინის სატირიკული მოთხრობის გონებაჩლუნგი გმირის გამოყენება, ჩვენი კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკის შესამუსრავად, რომ ყველასათვის აშკარა გახდეს რა დიდ როლს ანიჭებს ბელადი სატირას ფაშისტების გონებაშეზღუდულობის გამოაშკარავების საქმეში: „ადებდა რა რეზოლუციას იმის შესახებ, რომ კვლავ დახურულიყო ამერიკა,—ამბობს ამხანაგი სტალინი, — შჩედრინის ბიუროკრატმა, მიუხედავად მთელი თავისი სიჩლუნგისა, მაინც მონახა თავისთავში რეალურის გაგების ელემენტები, ჩაილაპარაკა რა იქვე თავისთვის: „მაგრამ, მგონი, საქმე ესე ჩემზე არ არის დამოკიდებულიო“ (მხიარული სიცილის გრიალი, მქუხარე ტაში). მე არ ვიცი, ეყოფათ თუ არა ჭკუა ვაჟბატონებს გერმანულ ოფიციოზიდან მიხვდნენ, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს „დახურვა“ ქაღალდზე მათ, რასაკვირველია, შეუძლიათ. მაგრამ, თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, „საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული“ (მხიარული სიცილის გრიალი, მქუხარე ტაში). ამხანაგ სტალინის ეჭვები გამართლდა: ფაშისტ ვაჟბატონებს მართლაც არ ეყოთ ჭკუა: ისინი ვერაგულად დაესხნენ თავს საბჭოთა კავშირს და განიზრახეს რამდენიმე თვეში მისი „დახურვა“. მაგრამ თავისუფლების მოყვარე ხალხმა ჰიტლერის უეცარ თავდასხმას—„ბლიც კრიგს“ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მაგარი „ბლიც პანდური“ მიაყოლა მთელს უზარმაზარ ფრონტზე და ფაშისტური დამპყრობლების არმიის უძლეველობის მითი ერთბაშად გაჰფანტა. ჰიტლერს საალუმო განწყობილება მწარე საგონებელში ჩავარდნით შეეცვალა. საბჭოთა სატირის ასპარეზი კი ფართოდ გადაიშალა: იცინიან საბჭოთა გესლიანი სიტყვის ოსტატები, იცინის საბჭოთა ხალხი, ვლადიმერ მაიაკოვსკის მოსწრებული სიტყვებით რომ ვთქვათ, „მახვილ სიტყვათა კავალერიაც“ სასახელოდ მოქმედებს და ჩვენი ფრონტიც იცინის.

ჩვენი სატირა სამოქალაქო ომისა და ინტერვენტებთან ბრძოლის ქარცეცხლში გამოიჭედა. იგი ისეთი დიდი მზრუნველების მიერ არის ალესილი, როგორიც იყვნენ მაქსიმ გორკი და ვლადიმერ მაიაკოვსკი.

საბჭოთა ადამიანს ურყევად სჯერა ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვება. ამიტომ იცავს იგი თავგანწირვით თავის ქვეყანას დამპყრობლებისაგან, გატაცებით მიეშურება სამუშაოდ, მას ყოველი წუთი ზუსტად აქვს გამოთვლილი. მაგრამ აი მან თვალი მოჰკრა „სატირიკულ ფანჯარაში“ საინტერესო სურათს, სატირიკულ შაირებს, და ერთი წუთით შესდგა, თუ გინდ ისეთი სურათის სანახავად, როგორიცაა „ფაშისტ დამპყრობლების აღლუმი დონის როსტოვში“. ეს სურათი ორი ნაწილისაგან შესდგება. ორივე ნაწილს ერთი ღერძი აქვს. ორი ფიგურაა მთავარი, ერთია ძველი რუსი ვაჭარი გამხეცებული პანივი, რომელიც ავაზაკმა დამპყრობელებმა როსტოვის ქალაქის თავად დანიშნეს, მეორე—გენერალი ფონ კლაისტი. ამ ორი მხეცის ურთიერთობაშია დაჭერილი ფაშისტების მთელი უბედურება: მხეცი ვაჭარი ამაყად აფრთხილებს მხეც გენერალს: „ამიერიდან აღარ გაბედო ჩემი სურვილების საწინააღმდეგო ნაბიჯის გადადგმაო“. ფაშისტი გენერალიც მედიდური გაპრანჭულობით და ქედმაღალი ამრეზით დასცინის ვაჭრის პოზას. აქ შესანიშნავად არის გამოხატული ფაშისტების სამყაროში არსებული წინააღმდეგობანი — დაუსრულებელი კინკლაობა იმის გამო, ვის მეტი უფლება და ნადავლი ეკუთვნის. მაგრამ ამით არ ამოიწურება ოსტატურად მოფიქრებული სურათის შინაარსი. არა ნაკლებ საინტერესოა სურათის მეორე ნაწილი, სადაც გამოხატულია წითელი არმიის მამაცური შეტევით დამფრთხალი ავაზაკები, იგივე ვაჭარი და გენერალი, რომლებმაც გულის ხეთქვით მოუსვეს დონის როსტოვიდან დასავლეთისაკენ.

ხშირად ვხვდებით ასეთი ოსტატობით შესრულებულ სურათებს ჩვენი ხალხის სიძულვილითა და მრისხანე დაცინვით სავსე შარჟებს და კარიკატურებს.

მტკიცე ტრადიციები ამაგრებენ საბჭოთა სატირის საბრძოლო როლს. ჩვენი გაზეთები „პრავდა“, „იზვესტია“, განსაკუთრებით „კომსომოლსკაია პრავდა“, ყოველთვის უწყობენ ხელს სატირიკული სურათების, შაირების, ფელეტონების, ნარკვევებისა და ნოველების გავრცელებას.

მოსკოვის გაზეთების ამ ტრადიციას კარგად იყენებს თბილისის გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ და ზოგჯერ დიდ შედეგებსაც აღწევს. მაგალითად, „ზარია ვოსტოკამ“ შესანიშნავად აღბეჭდა თავის ფურცლებზე ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის შეტევაზე გადასვლა და ფაშისტ დამპყრობელთა უკანდახევა.

დონის როსტოვის ფაშისტურ დამპყრობლებისაგან განთავისუფლების დღეებში „ზარია ვოსტოკამ“ მოათავსა შესაფერი სატირიკული სურათები გუროსი და შაირები: საბჭოთა ქვემეხის ლულა მიერეკება ფაშისტ გენერლებს— ფონ კლაისტსა და შმიდტს. მეორე დღეს დაიბეჭდა იმავე კარიკატურისა და ტექსტის გაგრძელებით ახალი ნახატი და ტექსტის გაგრძელება: აქაც საბჭოთა ქვემეხის ლულა მიერეკება ფაშისტი გენერლების ახალ წყვილს: მაგერნერსა და სიკსტ ფონ არმინს. უკვე მოცემულია წითელი არმიის შეტევაზე გადასვლის რიტმი და ფაშისტ გენერლების მასობრივი კრახი დასავლეთისაკენ. მაგრამ გაზეთი არა კმაყოფილდება ამ ორი კარიკატურით მიღებული შთაბეჭდილებით და ხუთი დღის შემდეგ, 17 დეკემბრის ნომერში წინათ აღწერილ კარიკატურებს კიდევ უმატებს იმავე კომპოზიციის გამაგრძელებელ ნახატებს და შაირებს: გენერლების გუდერიანისა და გოტის, ფორსტისა და ვერკშტერნის გაქცევას. ამრიგად, გაზეთმა მოხერხებული თანდათანობით მიაწოდა მკითხველს საინტერესო მასალა, ხაზგასმით წარმოადგინა ჰიტლერის არმიის გოროზი სარდლობის პირველი დამარცხების სურათი და მკითხველის ხალისიანი სიცილი გაახანგრძლივა.

ძალიან კარგი იქნება, თუ ჩვენი ცენტრალური გაზეთი „კომუნისტი“ და „ლიტ. საქართველო“ შემოიღებენ სატირიკულ განყოფილებებს და სატირიკული ჟანრის ნაწარმოებებსაც მიაწვდიან თავიანთ მკითხველებს.

სატირის უაღრესი საჭიროების გამო გაიჩინა ომის პირველ დღეებშივე მწერალთა კავშირმა მრავალტირაჟიანი ნაბეჭდი კედლის გაზეთი „ლახვარი“, რომელმაც კარგად დაიწყო, მაგრამ შემდეგ ვეღარ მიჰყვა მკითხველის მოთხოვნილების და ინტერესის განვითარებას და მოულოდნელად შეასუსტა ცეცხლი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა.

ჩქარა ოცი წელი შესრულდება, რაც საბჭოთა ქართულ სატირას სპეციალური ორგანო აქვს ჟურნალ „ნიანგის“ სახით. ეს ჟურნალი უთუოდ სარგებლობს პოპულარობით მკითხველთა ფართო მასებში, მას ჰყავს თავისი კადრი ჰუმორისტებისა, სატირიკოსებისა, კარიკატურისტ მხატვრებისა. მაგრამ ქართველი ხალხის გონებამახვილობის ხიმალაიზე იგი ჯერ კიდევ ვერა სდგას ისევე, როგორც „კროკოდილი“ ვერ ავიდა დიდი რუსი ხალხის გონებამახვილობის მწვერვალზე. სამამულო ომის პერიოდში „ნიანგმა“ მნიშვნელოვნად გარდაქმნა თავისი მუშაობა: შეუფარდა რა თავისი შინაარსი სამამულო ომის ვითარებას — ორკვირეულიდან გადავიდა კვირეულზე.

ჟურნალში აქტიურად მონაწილეობენ ზოგიერთი ჩვენი ცნობილი მწერლები, რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ამ მიმართულებით მეტ აქტივობას მოითხოვენ საბჭოთა მწერლებისაგან ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესები და ბრძოლის პათოსით სავსე მებრძოლები.

სამამულო ომის პირობებში გაჩნდნენ საფრონტო გაზეთები, რომლებიც უშუალოდ ეხმარებიან ჩვენი მოქმედი არმიის საქმეს. ამ გაზეთების ფურცლებზე იბეჭდება ის მოსწრებული სიტყვა-პასუხი, ოხუნჯობა, შაირები და გმირული თქმულებები, რომლებიც არაჩვეულებრივი სიუხვით ჩნდებიან ჩვენი მებრძოლების გმირობით სავსე საბრძოლო ყოფაში. წითელი არმიის წარსული გვიდასტურებს, რომ წითელ მებრძოლებს უყვართ მტრის სუსტი მხარეების სასაცილოდ აგდება და მკაცრი გარემოცვის შენელება, გაადვილება, ოხუნჯობითა და მოხერხებული რეპლიკით. უკვე მოგვეპოვება თვალსაჩინო ნიშნები იმისა, რომ ჩვენმა მომქმედმა არმიამ შექმნა ახალი საბრძოლო ფოლკლორი, ახალი ხალხური პოეზია, სრულიად ახალი ანდაზები, იგავ-არაკები და შაირები. ნამდვილ მამაცურ ბრძოლაში გამოჭედილი საგმირო ამბები ახალისებენ ჩვენ მებრძოლებს. ჩვენს ფრონტს უკვე ჰყავს თავისი სატირიკოსები და კარიკატურისტები, რომლებიც ხალისით აფერადებენ ცეცხლის ხაზზე გაშლილ ცხოვრებას, ისინი მკაცრი კრიტიკით და მძაფრი სატირიკული სიცილით ამათრახებენ ვერაგ მტრის არმიას.

ჩვენი მომქმედი არმიისა და მშრომელი მოსახლეობის ჯანსაღი სიცილი გამარჯვების იმედებით სავსე სიცილია.

სატირა ლახვარია მტრისათვის. ბელინსკი ამბობდა ვოლტერის შესახებ, „დაცინვის საშუალებით მან ჩააქრო ევროპაში ფანატიზმისა და უმეცრების ხანძარიო“. საბჭოთა სატირა უსათუოდ შეუწყობს ხელს გერმანელი ფაშისტების მიერ გაჩაღებული ხანძრის ჩაქრობის დიად საქმეს, როცა ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა სახეობიდან აყრის იგი სიცილს მტრის ალვირახსნილობას, ქედმაღლობასა და სიგიჟემდე მისულ მტაცებლობას. მეტი სატირიკული შარჟები და კარიკატურები, მეტი სატირიკული სიმღერები და შაირები, მეტი სატირიკული პიესები და მოთხრობები,—აი რა ყუმბარები უნდა დაუშინონ რისხვად და სასტიკი სიძულვილის ნიშნად საბჭოთა მხატვრებმა, კომპოზიტორებმა და საბჭოთა სიტყვის ოსტატებმა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის თავისუფლების გაცოფებულ მტრებს.

ჩვენი ხალხი იცინის მტრის ბოროტი გულის გასახეთქად. ეს უფლება სისხლით მოიპოვა ჩვენმა ხალხმა, რომელიც ბრწყინვალე გამარჯვებიდან ბრწყინვალე გამარჯვებამდე მიჰყავს დიდი სტალინის გენიას.

სულით ავადმყოფი

გი დე-მოპასანი

ტყის ქათმების დანახვამ მომაგონა ომის დროს მომხდარი უბედური შემთხვევა, — დაიწყო მატიე დ'ანდოლენმა. — თქვენ უთუოდ გახსოვთ ჩემი კარმიდამო კორმეილის გარეუბანში. მე იქ გახლდით მაშინ, როდესაც პრუსიელები შემოვიდნენ.

ჩემს მეზობლად ერთი სულით ავადმყოფი ქალი სცხოვრობდა. მისი გონება ულმობელ ბედს აემღვრია. კარგა ხნის წინად ოცდახუთი წლის ქალს ერთ თვეში დაეღუპა მამა, ქმარი, ახლადშობილი ბავშვი.

ერთხელ რომ ეწვევა სიკვდილი რომელიმე სახლს, კვლავაც მალე ესტუმრება იგი. თითქოს შესასვლელი კარის გაგება სწადდაო.

საბრალო ახალგაზრდა ქალი, მწუხარებით თავზარდაცემული, ლოგინად ჩავარდა და ექვსი კვირა ბოდვაში გაატარა. ასეთ მშფოთვარე დღეებს დაუძლეველი დაღლილობა მოჰყვა. იგი უძრავად იწვა, თითქმის აღარც სჭამდა. დროგამოშვებით თვალებს აცეცებდა. როგორც კი მოინდომებდნენ მის წამოყენებას, მაშინვე ისეთ აურზაურს ასტეხდა, თითქოს ახრჩობენო. საწოლში დასტოვეს და აწუხებდნენ მხოლოდ მაშინ, როცა საცვალს ან ლეიბს გამოუცვლიდნენ.

ავადმყოფთან სცხოვრობდა მოხუცი გამდელი. იგი დრო და დრო წყალსა და ცივ საჭმელს აწვდიდა. რა ხდებოდა ამ განწირულ სულში, არავინ უწყოდა. გამუდმებით სდუმდა. იქნებ ფიქრობდა გარდაცვლილებზე? იქნებ მჭმუნვარე, გაურკვეველ ოცნებას ეძლეოდა? ან შეიძლება მისი დაბინდული გონება ისევე უძრავად რჩებოდა, როგორც დაგუბებული წყალი?

თხუთმეტი წელი გაატარა მან მდუმარედ და უმოძრაოდ.

დაიწყო ომი. დეკემბრის პირველ რიცხვებში პრუსიელები კორმეილში შემოიჭრნენ. მახსოვს ყოველივე ისე, როგორც გუშინდელი დღე. ისეთი ყინვა იდგა, რომ ქვებიც კი დამსკდარიყვნენ. ნეკრესის ქარით მისუსტებული სავარძელს ვიყავი მიკრული, როცა მძიმე და განზომილი ნაბიჯების ბრაგა-ბრუგი შემომესმა. ფანჯრიდან დავინახე, როგორ ჩაიარეს ჯარისკაცებმა. დაუსრულებელი მწყობრით მიემართებოდნენ. ძალზე წააგავდნენ ერთმანეთს თავიანთი უშნო, მუყაოს ტიკინისებური მოძრაობით, რაც ასე დამახასიათებელია მათთვის. უფროსები შეუდგნენ ჯარის განაწილებას მოსახლეობაში. მე ჩვიდმეტი კაცი მერგო, სულით ავადმყოფ მეზობელს—თორმეტი. მათ რიცხვში ბოროტი, უხეში და ბრიყვი ოფიცერიც მოჰყვა.

პირველმა დღეებმა შედარებით მშვიდად ჩაიარეს. ოფიცრისათვის ვიღაცას ეთქვა, რომ მისი დიასახლისი ავად იყო. მაგრამ მალე ქალმა, რომელიც სულ არა ჩნდებოდა, განარისხა ოფიცერი. მან გამოიკითხა ქალის ავადმყოფობის ამბავი. ოფიცერს მოახსენეს, რომ იგი დიდის მწუხარების შემდეგ თხუთმეტი წელი უმოძრაოდ წევსო. რასაკვირველია, არ დაიჯერა ეს. გადასწყვიტა, რომ ქალი თავს იკატუნებს, ლოგინიდან არა დგება ქედმაღლობით, რათა არ შეხვდეს, არ გამოესაუბროს პრუსიელებს და არავითარი ურთიერთობა არ იქონიოს მათთან.

ოფიცერმა მოითხოვა — მიეღო იგი ქალს. შეიყვანეს სულით ავადმყოფის ოთახში. მან უხეშად, დამტვრეული ფრანგულით მიმართა:

— გთხოვთ, ქალბატონო, აბრძანდეთ და ერთხელ მაინც დაგვენახოთ.

ქალმა უაზრო, უშინაარსო თვალები მიაპყრო და არაფერი უპასუხა.

ოფიცერმა განაგრძო:

— თქვენს თავხედობას ვეღარ ავიტან. თუ თქვენის ნებით არ ადგებით ლოგინიდან, გაიძულებთ წამოდგეთ!

სულით ავადმყოფი ქალი არ შენძრეულა. იგი თითქოს ვერც კი ამჩნევდა მას.

ამ გარემოებამ ოფიცერი გააბრაზა. მშვიდი დუმილი მან უკიდურესი სიძულვილის გამოხატულებად მიიღო და დაუყვირა:

— თუ თქვენ არ ჩამოხვალთ ხვალ ქვევით...

და გავიდა.

მეორე დღეს შეშინებული მოხუცი გამდელი შეეცადა ქალის ჩაცმას. მაგრამ სულით ავადმყოფი ისეთ ღმუილს მოჰყვა და ისეთ წინააღმდეგობას უწევდა, რომ მოხუცი ვერაფერს გახდა. ამასობაში, ოფიცერიც შევიდა. მსახური ქალი ქვითინით ფეხებში ჩაუვარდა:

— არ უნდა, ბატონო, არ უნდა... მიუტევეთ, უბედურია...

ოფიცერი დაიბნა. მიუხედავად თავისი გულისწყრომისა, ვერ გადაეწყვიტა, ჯარისკაცების შემწეობით გადმოეყვანა ქალი საწოლიდან თუ არა. მაგრამ უცებ ხარხარს მოჰყვა და გერმანულად ბრძანება გასცა.

ოთახში რამდენიმე ჯარისკაცი შევიდა. მათ ასწიეს ლეიბი, რომელზედაც ქალი იწვა, და ისე გაიტანეს გარეთ, თითქოს დაჭრილი გადაჰყავთო. რადგან ლოგინზე სულით ავადმყოფს არავინ შეეხო, იგი ხმა ამოუღებლივ, მშვიდად გამოიყურებოდა და გულგრილი იყო ყველა იმისადმი, რაც მის გარშემო ხდებოდა. პროცესიას უკან ჯარისკაცი მისდევდა ბოხჩით ხელში, რომელშიაც ქალის ტანისამოსი იყო გახვეული.

ოფიცერმა ხელები დაისრისა და წამოსთქვა:

— აბა ვნახოთ, თუ არ მოისურვებთ ჩაცმას და გასეირნებას!

პროცესია იმოველის ტყისაკენ დაიძრა.

ორი საათის შემდეგ ჯარისკაცები ხელცარიელნი დაბრუნდნენ.

ამის შემდეგ აღარავის უნახავს სულით ავადმყოფი ქალი: რა უყვეს, სად წაიყვანეს, — კაცმა არ იცოდა.

თოვლი დღე და ღამ მოდიოდა და დამზრალი ქაფის სუდარაში ხვევდა ველებს, ტყეებს. მგლები ღმუილით კარებთან გვიტრიალებდნენ.

არ მასვენებდა ფიქრი უგზო-უკვლოდ დაკარგულ ქალზე, მრავალჯერ მივმართე პრუსიელთა ხელისუფალთ, რათა გამეგო რამ, მაგრამ, ბაგების ნაცვლად, კინაღამ დამხვრიტეს.

გაზაფხულიც მოვიდა. საოკუპაციო ჯარმა მიატოვა იქაურობა. მეზობელი ქალის სახლკარი დაკეტილი დარჩა. მისი ბაღის ხეივნები სარეველა ბალახით აივსო. მოხუცი გამდელი ჯერ კიდევ ზამთარში გარდაიცვალა. აღარავის არ აინტერესებდა ეს შემთხვევა. მარტო მე ვფიქრობდი მის შესახებ.

რა უყვეს სულით ავადმყოფს? იქნებ ტყეში გაიქცა? ან იქნებ ვინმემ სადმე საავადმყოფოში მოათავსა ისე, რომ არც კი იცოდნენ, ვინ იყო იგი?

ვერ ვპოულობდი პასუხს ამ კითხვაზე, რომელიც ასე მტანჯავდა. დრო მიდიოდა. ბოლოს გულის წუხილი თან და თან დამიცხრა.

იმ შემოდგომას ბევრი ტყის ქათამი გაჩნდა, და რადგან ნეკრესის ქარმა ცოტათი მომასვენა, ტყემდე მივლასლასდი. ის იყო ოთხი თუ ხუთი გრძელ-ნისკარტიანი ფრინველი მოვკალი, რომ მოულოდნელად ჩემ მიერ დაჭრილი ტყის ქათამი გამხმარი ტოტებით სავსე ორმოში ჩავარდა. საჭირო გახდა იქ ჩასვლა და ნადავლის ამოტანა. ვიპოვნე ფრინველი, იგი ადამიანის თავის ქალას გვერდით ეგდო. მაშინვე სულით ავადმყოფი ქალის გახსენებამ გულში გამკრა, თითქოს ვიღაცამ მჭიდი ჩამარტყაო. იმ უბედურების ჟამს არც თუ ისე ცოტა დაიღუპა იმ ტყეში, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, დიახ, დარწმუნებული ვიყავი, რომ წავაწყდი სწორედ საცოდავ სულით ავადმყოფი ქალის თავის ქალას.

მაშინვე მივხვდი ყველაფერს, — ნათლად წარმოვიდგინე მთელი სურათი: მათ ქალი ლეიბით უდაბურ ტყეში დააგდეს ყინვაში. აკვიატებული აზრით შეპყრობილი სულით ავადმყოფი უმოძრაოდ იწვა. არ ანძრევდა არც ფეხს, არც ხელს. მან საშუალება მისცა სქელ ფაფუკ თოვლის ფიფქს კარგად დაეფარა იგი.

შემდეგ ის მგლებმა დაფლითეს.

ფრინველებმა კი მისი დაძენძილი ლეიბის მატყლიდან ბუდეები გაიკეთეს.

მე დავყურებდი ამ მწუხარე ნეშტს, და ვისურვებ, რომ ჩვენ შვილებს არასოდეს არ ენახოთ ომი...

თარგმანი ფრანგულიდან
ქეთევან ირემაძისა.

სატორპედო კატარღების ფონდში

ქუთაისის მწერალთა კავშირი სამამულო ომის პერიოდში გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს. იმართება სპეციალური ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოები როგორც უშუალოდ ქუთაისში, ისე ახლო-მახლო სოფლებში.

ამას წინად ქუთაისის მწერალთა კავშირის კომკავშირის ორგანიზაციამ კულტურის სახლში მოაწყო დიდი ანტიფაშისტური ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. საღამოში მონაწილეობა მიიღეს დომენტი თომაშვილმა, გიორგი გიასელმა, შაჰრუხ ჩარკვიანმა, დიმიტრი ქვირკველიამ, სერგო თევანიძემ, შალვა ტოგონიძემ, ა[illegible] გურჯიძემ, მიხ. კაკიტელაშვილმა, ვასო გვეტაძემ და მუსიკალური სასწავლებლის თვალსაჩინო ძალებმა. ამ საღამოს შემოსავალი ათასი მანეთი გადაეცა საქართველოს კომკავშირის სახელობის სატორპედო კატარღების და სატანკო კოლონების მშენებლობის ფონდს.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე,
გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ჟუ 6432